

ოქმი #9
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს რიგგარეშე სხდომის

2019 წელი, 2 აპრილი
 ქ. ოზურგეთი
 12.00 – 13.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის
 საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს წევრები:
 გ.ღურჯუმელიძე, ე.გორდელაძე, ლ.ბიგვავა, გ.კილაძე,
 გ.ჩაგანავა, ტ.აროშიძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე,
 გ.ჩავლეშვილი, ბ.ქათამაძე.
 მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის
 პასუხისმგებელი მუშაკები.
 მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომლის დაამტკიცებამდე საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვავამ ითხოვა ერთი საკითხის „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“ დამატება. ამ ცვლილებით დაამტკიცეს სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

**თანამომხსენებლები: ალექსანდრე სურგულაძე
ალეკო მამეშვილი
გოჩა კილაძე**

2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სააგიტაციო მასალის განთავსების რეგულირების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ეროდი გორდელაძე

3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „გურიის ქუჩა“ -ის სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის შრომის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ქუჩისათვის „ჩირეს“- სახელის მინიჭების შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გარე ვაჭრობის რეგულირების წესის დამტკიცების შესახებ“

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ლავრენტი ბიგვავა

საკითხების განხილვის დასრულების შემდეგ განცხადებები გააკეთეს: საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ გ.ღურჯუმელიძემ 1. საკრებულოში, მიმდინარე წლის 16 აპრილს , 11.00 საათზე, სხდომათა დარბაზში, ღია კარის სხდომის მოწვევის შესახებ. 2. მიმდინარე წლის 11 აპრილს, 11.00 საათზე, ამავე დარბაზში, „2018 წელში მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში“-ს მოსმენის შესახებ.

საკრებულოს უმრავლესობის ფრაქციის თავმჯდომარის ტ.აროშიძის განცხადება -მუნიციპალიტეტის ბიუროს გასვლითი სხდომის ჩატარების შესახებ.

გადაწყვეტეს:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში წარმოდგენილი N 1, 2, 3, 4, 5 საკითხი საკრებულოს ბიუროს სხდომაზე გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

